ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #53

2025წ. 19 აგვისტო 13.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ა.კილაძე,
ლ.დავითაშვილი, მ.კაკაურიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის კომისიების წევრები

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ა.ცინცაძე

სხდომის თავმჯდომარე ა.ცინცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(N: 12-032522765-03 18.08.2025 წ.)

1. მოისმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა კომისიების წევრებს გააცნო „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.17.13.045.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=5.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე, რაც გულისხმობს I ბლოკზე 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებას, ხოლო II და III ბლოკებზე 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 2,017,179.68 ლარით.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებმა სხდომაზე განხილული საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ზემოაღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ა.ცინცაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ა.ცინცაძე